

12.09.2014

სხდომას ესწრებოდა 12 წევრიდან 9

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტზე სტრუქტურული ცვლილებების შესახებ (ნ.წერეთელი).
2. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს:

პროფ. ნ. წერეთელი: მან აღნიშნა, რომ ქიმიის საგანმანათლებლო პროგრამის სახელმწიფო დაფინანსებიდან გამომდინარე ფაკულტეტზე საჭიროა შეიქმნას ქიმიის დეპარტამენტი, რომელშიც გაერთიანდება არაორგანული, ორგანული და ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის ყოფილი მიმართულებები. რექტორის მოსაზრებით ფაკულტეტზე ამ დეპარტამენტის შექმნა ხელს შეუწყობს სხვა პროგრამებზეც სახელმწიფო დაფინანსების მიღებას. არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე მან სათათბიროს წევრებს შეახსენა, რომ სტრუქტურულ ცვლილებას ესაჭიროება საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

აზრი გამოთქვას:

პროფ. ლ.გვასალია: მან აღნიშნა, რომ აკადემიურ საბჭოზე, როდესაც გადიოდა დეპარტამენტების დამტკიცების საკითხი ფაკულტეტიდან წარდგენილი იყო რამოდენიმე დეპარტამენტი, თუმცა გარკვეული მოსაზრებიდან გამომდინარე იმ ეტაპზე დამტკიცდა მხოლოდ სამი. მან მხარი დაუჭირა ქიმიის დეპარტამენტის შექმნას და მოითხოვა უახლოეს პერიოდში სხვა დეპარტამენტების ჩამოყალიბებაც. წამოაყენა წინადადება 17.09. 2014 წელს შედგეს ფაკულტეტის საბჭოს სხდომა და განიხილულ იქნას ქიმიის დეპარტამენტის შექმნის საკითხი.

პროფესორები:ზ.კოვზირიძე, ნ.კუციავა, ზ.ლომსაძე: მათ მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ წინადადებას.

დაადგინეს

1. 2014 წლის 17 სექტემბრეს ჩატარდეს ფაკულტეტის საბჭოს სხდომა, რომელიც განიხილავს ქიმიის დეპარტამენტის შექმნის საკითხს.
2. წინასწარ მიეწოდოს ინფორმაცია არაორგანულ, ორგანულ და ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის ყოფილ მიმართულებებს ქიმიის დეპარტამენტის შექმნის შესახებ.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მიმდინარე საკითხები:

მოისმინეს: **პროფ. ნ.წერეთელი:** მან აღნიშნა, რომ მივლინებასთან დაკავშირებით შემოსულია პროფ. გ. ქაშაკაშვილისა და პროფ. თ. აგლაძის განცხადებები. კერძოდ, პროფ. გ. ქაშაკაშვილი თხოულობს იტალიის მაგივრად ქ. პოლევოსკოიში ფოლადის მდნობელთა XIII საერთაშორისო კონგრესზე გამგზავრებას, რისთვისაც ფაკულტეტიდან იტალიაში გასამგზავრებლად გამოყოფილი 2900 ევროს ნაცვლად, თხოულობს 1600 ევროს ექვივალენტ ლარს ქ. პოლევოსკოიში ფოლადის მდნობელთა XIII საერთაშორისო კონგრესზე გასამგზავრებლად, ხოლო პროფ. თ. აგლაძე გერმანიაში გასამგზავრებლად და გერიშერ-კოლბის სიმპოზიუმზე მონაწილეობის მისაღებად ითხოვს, მხოლოდ გზის ხარჯს 1658 ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვას: **პროფესორები: ნ.კუციავა, ზ.ლომსაძე, ზ. კოვზირიძე.** მათ მხარი დაუჭირეს პროფ. გ. ქაშაკაშვილისა და პროფ. თ. აგლაძის მოთხოვნებს.

დაადგინეს: 1. დაკმაყოფილდეს პროფ. გ. ქაშაკაშვილის განცხადება ქ. პოლევოსკოიში ფოლადის მდნობელთა XIII საერთაშორისო კონგრესზე გასამგზავრებლად და მივლინებაში გასამგზავრებლად ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოეყოს 1600 ევროს ექვივალენტი ლარი.

2. დაკმაყოფილდეს პროფ. თ. აგლაძის განცხადება და ფაკულტეტის ბიუჯეტიდან მივლინებაში გასამგზავრებლად გამოეყოს 1658 ლარი თბილისი-მიუნხენი-ბერლინი-თბილისი ავიაბილეთების შესაძენად.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მოისმინეს: **პროფ. ნ.წერეთელი:** მან აღნიშნა, რომ 2014-15 სასწავლო წლიდან ზოგიერთ საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოითქვა სურვილი უფროსი მასწავლებლების მოწვევის თაობაზე.

აზრი გამოთქვას: **პროფესორები: ნ.კუციავა, ზ.ლომსაძე, ზ. კოვზირიძე, თ. ცინცაძე.**

დაადგინეს მასწავლებლების მოწვევის საკითხი განხილულ იქნას ფაკულტეტის შემოსავლების დაზუსტების შემდეგ.

სათათბიროს თავმჯდომარე, პროფ.

ნ. წერეთელი

მდივანი, პროფ.

მ. მშვილდაძე